ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 9 ოქტომბრის სხდომის

ოქმი #8

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023 წლის 9 ოქტომბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 28 წევრი, სხდომას ესწრებოდა 19 წევრი. სხდომას ასევე ესწრებოდა გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი გურამ ქუთელია.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
2. პროგრამული ცვლილებების შესახებ;
3. იმპაქტ-ფაქტორიან პუბლიკაციებზე დამატებითი ანაზღაურების გაცემის შესახებ;
4. მიმდინარე საკითხები.

განსახილველი საკითხების შესაბამისი მასალები წინასწარ დაეგზავნა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი – საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. საკითხი წარმოადგინა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. ბატონმა რამაზმა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №116/2018 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში შესატანი ცვლილებები (იხ. დანართები 1.1 – 1.2).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა დ. ძიძიგურმა, ნ. შათაშვილმა, თ. თადუმაძემ. დ. ძიძიგურმა თავის გამოსვლაში ისაუბრა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს, როგორც სტრუქტურის განათლების კანონთან შესაბამისობაზე. თ. თადუმაძემ საბჭოს წევრებს გააცნო თავისი შენიშვნები დებულებაში შესატან ცვლილებებზე. განსახილველმა საკითხმა საბჭოს წევრებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. საბჭოს თავმჯდომარემ გამოთქვა მოსაზრება, რომ წამოყენებული წინადადებების და შენიშვნების განხილვას

აზრი არა აქვს ცვლილებების ინიციატორის არგუმენტებისა და განმარტებების მოსმენის გარეშე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, რომ გადაიდოს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №116/2018 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში შესატანი ცვლილებების განხილვა.

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №116/2018 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში შესატანი ცვლილებების განხილვა გადაიდოს.

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი - პროგრამული ცვლილებების შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ. ხომერიკმა. სიტყვა გადასცა სამაგისტრო პროგრამის „ფუნდამენტური ფიზიკა“ კოორდინატორს, პროფესორ ნანა შათაშვილს. ნ. შათაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ფუნდამენტური ფიზიკის სამაგისტრო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებები (იხ. დანართი 2). პროგრამული ცვლილებები ხორციელდება ლ'აკვილას უნივერსიტეტთან ორმაგი ხარისხის მიმნიჭებელი ჩარჩო ხელშეკრულების ტექნიკური დანართის მოთხოვნების მიხედვითა და ზსმფ-ის ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორთა საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების თანახმად. წარმოდგენილია განახლებული სასწავლო გეგმა, ასევე კვალიფიკაციების მინიჭების სქემა.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა მ. ხაჩიძემ, ნ. დორეულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ფუნდამენტური ფიზიკის სამაგისტრო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილებები ფუნდამენტური ფიზიკის სამაგისტრო პროგრამაში (იხ. დანართი 2).

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი - იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიების ანაზღაურების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. ბატონმა რამაზმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მუხლიდან "შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“ გამოყოფილია დაფინანსება ტომსონ-როიტერის კლასიფიკაციით დადებითი იმპაქტ ფაქტორიანი სტატიების ავტორებზე დამატებითი ანაზღაურების გასაცემად (იხ. დანართი 3).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა რ. გახოკიძემ, ე. ნადარაიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიების ანაზღაურების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭო ადგენს, რომ ერთ სტატიაზე გასაცემი თანხა Q1-ის რანჟირებით განისაზღვროს 3000 ლარით, ხოლო სხვა იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიებისა - 2500 ლარით და დაფინანსდეს 1 სტატია ერთ აკადემიურ პერსონალზე თანდართული სიის შესაბამისად (იხ. დანართი 2). საფაკულტეტო დაფინანსების თანხა (სულ 72 500 ლარის ოდენობით) გაიცეს ფაკულტეტის ბიუჯეტის შესაბამისი მუხლიდან.

4. მოისმინეს: დღის წესრიგის მიმდინარე საკითხები.

4.1. სამედიცინო და გამოყენებითი ბიოფიზიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის თანამშრომლის დამტკიცება;

4.2. ფიზიკური და ანალიზური ქიმიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის თანამშრომლის დამტკიცება.

4.1. მოისმინეს: ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ განსახილველად გამოიტანა საკითხი სამედიცინო და გამოყენებითი ბიოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა დამტკიცების შესახებ, ანაზღაურების გარეშე (დანართი 4).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს:

1. ინსტიტუტის წამლის გადამტანი ნანონაწილაკების კვლევების განყოფილებიდან ლომაძე ელენე, გადაყვანილი იქნას ინსტიტუტის ბაქტერიების და ბაქტერიოფაგების კვლევების განყოფილებაში;
2. უფროსი მეცნიერ მკვლევარი ეკა შეყილაძე დანიშული იქნას ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის კვლევების განყოფილების გამგედ;
3. ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის კვლევების განყოფილებაში მეცნიერ მკვლევარად არჩეული იქნას ივანოვი გოგა;
4. ინსტიტუტის ბაქტერიების და ბაქტერიოფაგების კვლევების განყოფილებაში უფროს მეცნიერ მკვლევარის თანამდებობაზე არჩეული იქნას ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ოლეგ ხარშილაძე.

4.2. მოისმინეს: ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ განსახილველად გამოიტანა საკითხი ფიზიკური და ანალიზური ქიმიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის თანამშრომლად თამარ ხატიაშვილის დამტკიცების შესახებ, ანაზღაურების გარეშე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფიზიკური და ანალიზური ქიმიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-მკვლევარის პოზიციაზე თამარ ხატიაშვილი.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი